ნოემბერი 2021

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

კომპანიის დებულება

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში - კომპანია), რომელიც რეგისტრირებულია 2010 წლის 14 იანვარს, წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის №1-1/13 ბრძანებით შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ახორციელებს წყალმომარაგებითა და წყალარინებით მომსახურებას.

2. კომპანიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, კომპანიის წესდება, წინამდებარე დებულება და კომპანიის დირექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის და კომპანიის წესდების საფუძველზე გამოცემული სხვა შიდა მარეგულირებელი აქტები.

3. კომპანია, როგორც სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

4. წინამდებარე დებულება ადგენს, განსაზღვრავს და არეგულირებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“დირექტორისა და მისი მოადგილეების (შემდგომში - დირექტორატი) საქმიანობის ძირითად ფუნქციებს, უფლებებს, მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს და სხვა ასპექტებს.

5. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო, ანგარიშები (მათ შორის, სავალუტო), ბეჭედი კომპანიის სახელწოდებით, სატიტულო ბლანკი, შტამპი და ლოგო.

6. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ვაკის რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას №5 და №7.

7. წინამდებარე დებულება, მათ შორის, მასში შეტანილი სამომავლო ცვლილებები, მტკიცდება კომპანიის დირექტორის მიერ, საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია სასმელი წყლის მიწოდება და წყალარინებით მომსახურება კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად, მათ შორის:

ა) წყლის მოპოვება და მოსახლეობისა და დაწესებულებების მომარაგება საქართველოს სტანდარტებთან (ან რეგულაციებთან) შესაბამისად სასმელი წყლით;
ბ) ფეკალური სითხეების შეგროვება, გაწმენდა და წყალმიმღებში ჩაშვება, რეგულაციებით დადგენი წესით;
გ) წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების, მოწყობილობების და დანადგარების პროექტირება, მშენებლობა, მონტაჟი, შეკეთება და ოპერირება.

2. კომპანიას, აგრეთვე, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, და სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის ინტერესებს.

3. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.

4. თუკი დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს ან/და მათ ოჯახის წევრს აქვს ან შესაძლოა გააჩნდეს ინტერესთა კონფლიქტი ქონებრივი ან პირადი ინტერესის საფუძველზე და ამგვარმა ურთიერთობამ ან ინტერესმა შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, დირექტორი ან/და დირექტორის მოადგილე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ კონკრეტულად აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება მესამე დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ, რომელიც შეირჩევა კომპანიის მენეჯმენტის მიერ ღია გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. კომპანიის მართვის სტრუქტურა

1. კომპანიის მართვის ორგანოებია:

ა) პარტნიორთა კრება.
ბ) სამეთვალყურეო ორგანო; და
გ) დირექტორი.

2. პარტნიორთა კრების უფლებამოსილებები განისაზღვრება კომპანიის წესდებით.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შექმნილია კომპანიის სამეთვალყურეო ორგანო. სამეთვალყურეო ორგანო:

ა) უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის სამართლებრივ ნორმებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას. ასევე, კომპანიის მიერ ბიზნეს გეგმის შესრულებას, რომელიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმა) განხილვით, შეთანხმებითა და მასში ცვლილებების შეტანით;
ბ) ამოწმებს კომპანიის წლიური ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმის) ანგარიშებს, მის შესრულებას

და სხვა საკითხებს, საჭიროებისამებრ;
გ) იხილავს გარე აუდიტის რეკომენდაციებსა და დასკვნებს, ისევე, როგორც წლიურ აუდიტორულ ანგარიშს;
დ) იხილავს და ამტკიცებს გრძელვადიან ფინანსურ სამოქმედო გეგმას და კომპანიის მენეჯმენტის მიერ წარდგენილ კორპორატიულ მიზნებს, ბიზნეს გეგმებს და სტრატეგიებს;
ე) განიხილავს კომპანიაში ინვესტიციების ოდენობას;
ვ) იხილავს კომპანიის მიერ კრედიტისა თუ სესხის აღებასთან დაკავშირებულ საკითხებს; იხილავს და ამტკიცებს სასესხო ხელშეკრულების პირობებს;
ზ) იხილავს კომპანიის მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან დასადებ ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს; იხილავს და ამტკიცებს კომპანიის სასესხო ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის, სესხის გადახდის ვადებს, საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებში შესატან ცვლილებებს;
თ) იხილავს კომპანიის მიერ მესამე პირისათვის უფლებ(ებ)ის გადაცემის ან მოთხოვნის დათმობის საკითხებს.

4. დირექტორს გააჩნია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. დირექტორი ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება პარტნიორთა კრების მიერ.

მუხლი 4. კომპანიის დირექტორის უფლებები და მოვალეობები

1.კომპანიის დირექტორი ახორციელებს ზოგად კონტროლს, მართვის ფუნქციებს, ბიზნესის და საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შორის:
ა) წარმართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას;
ბ) ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურას, შინაგანაწესს, ადმინისტრირების პროცედურებს, საშტატო ნუსხას, კომპანიის ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულების დებულებას/დებულებებს და კომპანიის საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებს, კომპანიის წესდების საფუძველზე;
გ) უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ჩანაწერები და ბუღალტრული ანგარიშგება შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და მიღებულ ბუღალტრულ სტანდარტებთან, იმ ფორმით, რაც დადგენილია პარტნიორთა კრების მიერ.
დ) აღასრულებს პარტნიორთა კრების და სამეთვალყურეო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.
ე) განიხილავს კომპანიის მიერ წარსადგენ სატარიფო განაცხადს სექტორში არსებული სალიცენზიო საქმიანობის ფარგლებში ტარიფის დადგენის მიზნით;
ვ) ახორციელებს კომპანიის ფუნქციონირებისთვის სათანადო ქმედებებს.

2. დირექტორი უფლებამოსილია:
ა) იმოქმედოს კომპანიის სახელით სპეციალური მინდობილობის გარეშე და ერთპიროვნულად წარმოადგინოს კომპანია სახელმწიფო ორგანოებთან ან მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) მინდობილობის საფუძველზე, განახორციელოს კონკრეტული უფლებამოსილების დელეგირება მესამე პირზე;

გ) კომპანიის სახელით დადოს გარიგებები, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარტნიორთა კრების თანხმობის, გადაწყვეტილების ან დამტკიცების საფუძველზე.
დ) შემოიღოს წახალისების მექანიზმები, დანამატები და პრემიები კომპანიაში დასაქმებულებისათვის და გამოიყენოს სანქციები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, კომპანიაში მოქმედი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.
ე) განახორციელოს სხვა ქმედებები, რაც საჭიროა კომპანიის ამოცანების მისაღწევად და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება პარნიორთა კრების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს.

3. კომპანიის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, კომპანიის დირექტორის მოვალეობას ასრულებს კომპანიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კომპანიის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე.

4. იმ შემთხვევაში თუ შეიცვლება კომპანიის წესდება და შეიქმნება ახალი მართვის ორგანო, ან/და შეიცვლება არსებული ორგანოს უფლებამოსილებები, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება წინამდებარე დებულებაში.

მუხლი 5. კომპანიის დირექტორის მოადგილე

1. კომპანიის დირექტორს ჰყავს ექვსი მოადგილე, რომლებსაც კომპანიის პარტნიორთან - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილობითი თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს კომპანიის დირექტორი.

2. დირექტორის ბრძანებით, შესაძლებელია დირექტორის მოადგილე(ებ)ზე დელეგირებული იქნეს რაიმე საკითხ(ებ)ზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

3. დირექტორის მოადგილეებს, კომპანიის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების შესაბამისად გადანაწილებული აქვთ საკურატორო სფეროები.

მუხლი 6. კომპანიის დირექტორის მოადგილის უფლებები და მოვალეობები

1. კომპანიის დირექტორის მოადგილე:
   ა) ხელმძღვანელობს, დავალებებს აძლევს და აკონტროლებს თავის საკურატორო სფეროში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს;
   ბ) უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს ოფიციალური მიმოწერა მესამე პირებთან;
   გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს ან/და ვიზირებას უკეთებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებში მომზადებულ დოკუმენტებს;
   დ) ვალდებულია თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის, კომპანიის წესდების, წინამდებარე დებულების, კომპანიის შრომის შინაგანაწესისა და კომპანიის სხვა შიდა აქტების მოთხოვნები;

ე) დირექტორის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე წარმოადგენს კომპანიას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ან/და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და დირექტორის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. კომპანიის დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, კომპანიის დირექტორის მოადგილის მოვალეობას ასრულებს თავად დირექტორი ან კომპანიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე კომპანიის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 7. კომპანიის სტრუქტურა

1. კომპანიის სტრუქტურა შედგება კომპანიის სათაო ოფისში შემავალი სტუქტურული ერთეულებისა და კომპანიის ტერიტორიული ერთეულებისაგან.

2. სათაო ოფისის სტრუქტურულ ერთეულებში შეიძლება შეიქმნას სამსახურები ან/და ჯგუფები.

3. კომპანიის სტრუქტურა მტკიცდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. დირექტორი ბრძანებით ადგენს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, რომელიც პერიოდულად ექვემდებარება გადახედვას და ცვლილებებს.

4. კომპანიის ტერიტორიული ერთეულები იქმნება ტერიტორიული პრინციპით რეგიონული ფილიალებისა და მასში შემავალი სერვის ცენტრების სახით.

5. კომპანიის ტერიტორიული ერთეულების სტატუსი, მათი ამოცანები და კომპეტენცია განისაზღვრება კომპანიის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების დებულებ(ებ)ით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს კომპანიის დირექტორი.

6. კომპანიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

7. კომპანიის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები მტკიცდება კომპანიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

8. ადამიანური რესურსების და სტრუქტურის განვითარების მიზნით, კომპანიაში შექმნილია ცვლილებების მართვის კომიტეტი, კომპანიის დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N107 ბრძანებით და ადამიანური რესურსების რეფორმების კომიტეტი, კომპანიის დირექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის N112 ბრძანებით.

9. ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტი ამზადებს ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკას და სტრატეგიას, განიხილავს, მონიტორინგს უწევს და სამეთვალყურეო ორგანოს წარუდგენს რეკომენდაციებს ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის შესახებ, დირექტორის თანხმობის საფუძველზე. ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის მიზანია კვალიფიციური და დივერსიფიცირებული კადრების მოზიდვა, განვითარება, დასაქმება და შენარჩუნება და 2025 წლისთვის არანაკლებ თანამშრომლების 80% კვალიფიკაციის გაუმჯობესება.

10. ცვლილებების მართვის კომიტეტის ფუნქციებია:

    ა) სამეთვალყურეო ორგანოსთვის სტრუქტურული განვითარების მიზნით, რეკომენდაციების ინიცირება, გადახედვა, შეფასება და წარდგენა დირექტორის მეთვალყურეობით, დროში გაწერილი აქტივობებითა და რისკის შემამსუბუქებელი ღონისძიებებით; და

    ბ) მონიტორინგი გაუწიოს დამტკიცებული სტრუქტურული განვითარების წინადადებების შესრულების პროგრესს.

11. დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს კომიტეტების შემადგენლობას და მათ კონკრეტულ ფუნქციებს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.

2. ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის და გადახდისუუნარობის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კომპანია ახორციელებს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას იმ მოცულობით და პერიოდულობით, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

4. დებულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ ახდენს გავლენას დებულების დანარჩენი ნაწილის ან მთლიანი დებულების ნამდვილობაზე.

5. წინამდებარე დებულების და საქართველოს კანონმდებლობასთან და კომპანიის წესდებასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობას და კომპანიის წესდებას.

6. პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო ორგანოს ან/და დირექტორს შორის დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით, კეთილსინდისიერი

მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ასეთი დავა ან უთანხმოება გადაწყდება შესაბამისი განსჯადი სასამართლოს მიერ.

7. კომპანიის საქმიანობაში გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, კანონები, რეგულაციები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.